პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
18 აპრილი
№ 91 (17734)
ფასი 2 კაპ.

ლენინურ ვაჩატზე

რუსთავი: მარტენის საამქროში. ვლ. მაჩაბლის ფოტო.

ჩვენს სახლებს ჩვენვე უნდა მოვუაროთ

ადგება თუ არა გაზაფხული, როცა იღვიძებს ბუნება და სულ უფრო უხვად და თბილად ანათებს მზე, ფართოდ ჩაღდება ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა. ახუფთავებენ შენობებს, ეზოებსა და ქუჩებს, სკვერებსა და პარკებში რგავენ ხეებს, ყვავილებს. მილიონობით საბჭოთა ადამიანი დასაქმებულია ამ კარგი, კეთილშობილური საქმით.

ჩვენ ვამაყობთ საბინაო მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბით. ეს ქმედების შემდეგ ქვეყანაში აშენდა 3,4 მილიარდი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი. მარტო უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე 108 მილიონმა კაცმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები, რაც სსრ კავშირის მოსახლეობის 40 პროცენტს აღემატება. სახიხარულოა ისიც, რომ განუხრელად მაღლდება სახლების ხარისხი. ახლი უფრო ლამაზრხებული, ფუნქციონალური ხდება. ამას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიის XXV ყრილობამ, როცა დამპროექტებლებმა და მშენებლებს დაუსახა ამოცანა — გაიუმჯობესონ ბინების დაგეგმარება, აშენონ ხარისხიანად, ლამაზად.

მოქალაქეთა ბინის უფლება გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, მას უზრუნველყოფს საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა. ზრუნავს რა ხალხის კეთილდღეობისათვის, პარტია და ხელისწყობა თანდათანობით ასრულებენ დიდმნიშვნელოვან სოციალურ ამოცანას, რომლის მიზანია თითოეული ოჯახი უზრუნველყონ კეთილმოწყობილი ბინით. ამას ხმარდება უდიდესი თანხები; მარტო ბოლოდროინდელ ხუთწლეულში საბინაო-კომუნალური მშენებლობისათვის ამოიყოფა დაახლოებით ასი მილიარდი მანეთი.

ამასთან ერთად ჩვენი მოვალეობაა დღენიადაგ ვიზრუნოთ საბინაო ფონდის დაცვა-შენახვისათვის, გავუფრთხილდეთ იმას, რასაც აშენებთ, რაც მემკვიდრეობით მივიღეთ წინა თაობებისაგან. ჩვენი ბინები ხომ საზოგადოების უდიდესი სიმდიდრეა, იგი შეადგენს ქვეყნის ძირითადი ფონდების მეოთხედს. სათუოდ, ყაირათიანად ვეპყრობოდეთ მას საერთო-სახალხო ამოცანაა, რომელსაც დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე სახლები მსხვილი საინჟინრო ნაგებობანია. მათ ტექნიკურად წარგნერი ექსპლოატაცია, დროული რემონტი, სათანადო სანიტარიული მოვლა სჭირდება. შენობათა უნარიანი ექსპლოატაციის მაგალითს გვიჩვენებენ მოსკოვის საბინაო მეურნეობის მუშაკები. აქ გამოიკვლიეს სახლების მდგომარეობა, შეადგინეს თავიანთი პასპორტები, დასახეს უწესივრობათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. ყოველწლიურად მოსკოველები აწყობენ საზოგადოებრივ დათვალიერებებს, რომელთა მსვლელობაში აუმჯობესებენ ბინების ექსპლოატაციასა და რემონტს. დათვალიერებებში აქტიურად მონაწილეობენ საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც შეიფობას უწევენ ვეტერანებს. საინტერესოა აგრეთვე ლენინგრადის, გორკის გამოცდილება, სადაც რეკონსტრუქციასა და რემონტს ეწევიან ერთბაშად მთელ უბნებსა და ქუჩებში. კეთილმოწყობისათვის დღენიადაგ ზრუნავენ კიევში, მინსკში, თბილისში, ნავოისა და სხვა ქალაქებში.

მაგრამ „პრავდა“ იღებს ბევრ წერილს, რომლებშიც შეშფოთებით იტყობინებიან საცხოვრებელი სახლებისადმი აგდებული დამოკიდებულების, მისი ცუდი ექსპლოატაციის ფაქტებს, რის გამოც შენობები უსახურია, ირღვევა ლიფტების მუშაობა, წყლის, სითბოს მიწოდება. რემონტი ხშირად დაგვიანებით და დაბალხარისხოვნად სრულდება. „არ მსიამოვნებს, მაგრამ მინდა გაცნობოთო, — გვწერს ტამ

ალექსეევი ა. ნეხოროშევი, — რომ ჩვენთან საბჭოთა რაიონში ნაკლებად ზრუნავენ მცხოვრებლებისათვის. აი შარშან ზამთარში დიდი ბინი გამოგვირთეს გათბობა, რის შედეგად ბევრ სახლში მილები, ბატარეები დასკდა, ბინებში ცივოდა. ზოგიერთ სახლში კედლებს ათეკვლიც კი ჩამოსცვივდა, მაგრამ ამან ჭკუა როდი ასწავლათ. წელს ფურთი განმეორდა“. ამგვარი ფაქტები მოჰყავთ კუსტანაის, ტუალის, ორენბურგისა და მთელი რიგი სხვა ოლქების მცხოვრებლებს გამოგზავნილ წერილებში. განა ასეთი რამ დასაშვებია?!

ПРАВДА
17 აპრილის მოწინავე

ამაში უწინარეს ყოვლისა ბრალი მიუძღვით საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურების ხელმძღვანელებს, მუშაკებს. მათ აქვთ მინდობილი დიდმნიშვნელოვანი უბანი, რომელიც დაკავშირებულია მილიონობით ადამიანის ყოფა-ცხოვრების მოწყობასთან, და ისინი სახელმწიფოებრივად უნდა ზრუნავდნენ თითოეული საბინაოსათვის, თითოეული ბინისათვის, სანიმუშოდ აგვარებდნენ მოსახლეობის მომსახურებას. ამ მუშაობის სრულყოფის ღონისძიებანი დასახულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მთელი რიგ დადგენილებებში, რომლებიც ამ უკანასკნელი წლების მანძილზეა მიღებული. შეიქმნა დიდი საბინაო-საექსპლოატაციო და ექსპლუატაციო-სამშენებლო სამსახურები. ეს საქმე პერსპექტიულია, სწორედ ამიტომაც ახალი სამსახურები მოითხოვენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროების გაცილებით მეტ ყურადღებას. უნდა მოვაგვაროთ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მათი ქვეგანყოფების სუსტი უზრუნველყოფა.

„ჩვენ სახლებს ჩვენვე უნდა მოვუაროთ“ — ასეთი დევიზით ჩაღდება მშრომელთა პატრიოტული მოძრაობა ბინების სანიმუშო მოვლა-შენახვისათვის, ყოფა-ცხოვრების მაღალი კულტურისათვის. საბჭოთა ადამიანებს უნდათ, რომ თავიანთი სახლები და ეზოები, ქალაქები და სოფლები უფრო ლამაზი, უფრო კეთილმოწყობილი იყოს, რომ იქ უფრო კარგად ცხოვრობდეს და მუშაობდეს ადამიანი. ამ პატრიოტ მოძრაობაში ჩაერთო მილიონობით მოქალაქე, აქტიურად მიმდინარეობს კეთილმოწყობის ერთთვიურები. კეთილშობილურია მცხოვრებთა თაოსნობა, რომელიც სახლებს საზოგადოებრივი მოვლის ნუსხით იღებენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ შენობების მოვლის სამუშაოებში, უზრუნველყოფენ სათანადო წესრიგს სადარბაზოებში, ეზოებში. ბევრი მათგანი შევიდა სახალხო სარემონტო რაზმეულებში.

დიდია ამ საქმეში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შექმნილი პარტიული ორგანიზაციების, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან არსებული სახლის კომიტეტების, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების როლი. ისინი მუდამ უნდა მუშაობდნენ მოსახლეობასთან, ფართოდ ამამდნენ მას საბინაო მეურნეობის მართვაში, კეთილმოწყობისათვის, ყოფა-ცხოვრების მაღალი კულტურისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაგალითად, კალუგაში დეპუტატთა ინიციატივით ეწყობა სანიტარიული მდგომარეობის დათვალიერებანი, კეთილმოწყობის აქტივისტებს „ჯილდოებენ ნიშნით „შშობლიური ქალაქის სილამაზეზე. ზრუნვისათვის“. საჭიროა, რომ ყველა თავს გრძნობდეს იმ სახლის პატრონად, სადაც იგი ცხოვრობს, თვითონ ეფრთხილებოდეს მას და ამას სხვებსაც ასწავლიდეს.

19 აპრილს საბჭოთა ადამიანები ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაზე გამოვლენ. ძირითად წარმოებაში მუშაობასთან ერთად შაბათობის ბევრი მონაწილე დასაქმებული იქნება დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობით. ისინი ემზადებიან საცხოვრებელი სახლების, სადარბაზოების რემონტისათვის, ეზოებში სისუფთავისა და წესრიგის დამყარებისათვის, ხეების, ბუჩქების, ყვავილების დარგვისათვის. საჭიროა, რომ „წითელი შაბათობის“ მონაწილენი უზრუნველყოფილი იყვნენ შრომის ხელსაწყოებით. დაე ყველა ჩვენი ქალაქი და სოფელი თვალს ახარებდეს მორთული სახლებით, ჭუჭებითა და მოედნებით, „ყვავიანი“ გაზონებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი პირველი მაისის წინ მოგვიწოდებს:

— საბჭოთა კავშირის მოქალაქეებო! გაუფრთხილდით და ამრავლეთ სოციალისტური საკუთრება!

რაციონალურად, ყაირათიანად გამოიყენეთ ქვეყნის სიმდიდრე, დაიცავით მუშაობლური გუნება!

საფრანგეთში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის გამო

საფრანგეთის მთავრობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ვიზიტად ეწვევა საფრანგეთს ამა წლის აპრილის დასასრულს.

შაბათობა გვიხმობს!

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ალავიძე.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში „წითელი შაბათობის“ მოწყობის შესანიშნავი ტრადიციები დამკვიდრდა. აფხაზეთის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას 1980 წლის 19 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობის მოწყობისათვის. შრომის დღესასწაული აქ ყოველთვის მაღალორგანიზებულად ეწყობა და გამომუშავებული ხელფასის დიდი ნაწილი ხუთწლედის ფონდში ირიცხება. შაბათობისათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული შტაბები სისტემატურად ისმენდნენ სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებიანი ხელმძღვანელების, პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ინფორმაციებს შრომის დღესასწაულის მაღალ დონეზე მოწყობის თაობაზე. „წითელი შაბათობისათვის“ მზადების დროს ყოველს და მსხვილ სამრეწველო საწარმოებს დახმარებას უწევდნენ პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების წევრები.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავე 217 ბრიგადის, საამქროს და ფერმის კოლექტივებმა შრომის დღესასწაულისათვის მზადების პროცესში უკვე შეასრულეს ხუთწლიანი დავალებები და აძლიერებენ მუშაობის ტემპს. 3700-ზე მეტმა მუშამ და კოლმეურნემ ვალდებულება იკისრა პირადი ხუთწლიანი გეგმების შესრულება 19 აპრილისათვის.

ამასთან გამოშვებული პროდუქციის დიდი ნაწილი დამზადდება დაზოგილი ნედლეულის, მასალების, საათობისა და ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე.

ГВЕСЕВАЗРЕБА САКАРТВЕЛОС КОМПАРТИИС АПХАЗЕТИС САОЛКО КОМИТЕТИС МЕОРЕ МДИВАНИ В. АЛАВИДЖИ.

ავტონომიურ რესპუბლიკაში „წითელი შაბათობის“ ორგანიზაციისა და ჩატარების ტრადიციად ქცეულ ეს ეტაპი ერთ-ერთ ადგილი ეკავა ინიციატივებს, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა, ეფექტიანი ტექნოლოგიების, ტექნიკის, ავტომატიზაციის, ელექტრონიზაციის, ინტენსიფიკაციის, ინტენსიური

გეგმის შესრულების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კურსით

(დასასრული)

მარტში რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში მუშაობა გაუმჯობესდა, მაგრამ იანვარ–თებერვალში დაშვებული გეგმის შეუსრულებლობის გამოსწორება არ მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით პირველი კვარტალის კაპიტალდაბანდებათა გეგმა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე მთლიანად რესპუბლიკაში სულ 94 პროცენტით შესრულდა.

ამასთანავე, როგორც აღნიშნა რესპუბლიკის სახმომარაგების თავმჯდომარემ ა. ბუაძემ, მთელ რიგ შემთხვევებში სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში ფონდებს არ იყენებენ დანიშნულებისამებრ, და ეს ყოველივე დაუსჯელი რჩება. ყოველი ასეთი გამოვლენილი ფაქტი უნდა აღიკვეთოს, დამნაშავენი კი უმკაცრესად უნდა დაისაჯონ.

მეურნის საზომით

სხდომაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გაზრდის საკითხებს. პირველ კვარტალში პროდუქციისა და ფრინველის დამზადების გეგმა ყველა კატეგორიის მეურნეობებმა შეასრულეს 107 პროცენტით, და მარშანდელი წლის დონეს გადაამეტეს 6 პროცენტით. სახელმწიფოს მიჰყიდეს 54,2 ათასი ტონა რძე, რაც გეგმის 102 პროცენტს შეადგენს და 1,6 ათასი ტონით აღემატება შარშანდელი წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. გადაბრებული შესრულდა აგრეთვე კვერცხის დამზადების კვარტალური გეგმა. დამზადდა 116,8 მილიონი ცალი კვერცხი, რაც გეგმის 104 პროცენტს შეადგენს და 15,2 მილიონი ცალით მეტია, ვიდრე შარშან იყო.

ამასთანავე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა თავი ვერ გაართვეს რძისა და კვერცხის დამზადების საგეგმო დავალებებს.

დიდი ყურადღება დაეთმო ჩაის წარმოების შემდგომი გადიდების საკითხებს.

— ზუგდიდის რაიონის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგი, — თქვა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ, — მეჩაიეობა და მისი გადამამუშავებელი მრეწველობაა. ამიტომ სეზონისათვის ამ დარგების დროული მომზადება მნიშვნელოვანწილად წყვეტს რაიონის ეკონომიკის ბედს.

ამჯ. თოდუამ დაასახელა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ნორმალურ მომზადებას ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის. აქ აკლიათ 77 ჩაის საკრეფი მანქანა, არ არის მათი, აგრეთვე ჩაის საკრეფი და ჩაის სასხლავი აპარატების სათადარიგო ნაწილები, შეუკეთებელია 33 მანქანა „საქართველო“. საჭიროა, აღინიშნა ამჯ. თოდუამ, რომ „საქსოფლმანქანის“ ქარხანამ გახსნას სეზონურ რემონტის სადგური ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც საამისოდ არის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სადგური შეძლებს მოემსახუროს მეზობელ რაიონებსაც.

სხდომაზე მკაცრად, მაგრამ საკმაო თმენლობით გააკრიტიკეს თბილისის „ქარხანა „საქსოფლმანქანის“ მუშაობა. ამ საწარმოს ხელმძღვანელობა უყურადღებოდ ხანს უპასუხისმგებლობა ეკიდა სოფლის მშრომელთა, განსაკუთრებით მეჩაიეთა საქონიერებებსა და მოთხოვნილებებს. ჩაის ბალატიციებში მიღებული მანქანები დამზადებულია უხარისხოდ და სწრაფად გამოდის მწყობრიდან.

სოფლის მშრომელებს აკლიათ ავტოტრანსპორტიც. იმავე ზუგდიდის რაიონის ხეთ ჩაის თაბრიკაში უკვე დაინერგა, მიმდინარე წელს კი კიდევ ორ ფაბრიკაში მოეწყობა ნედლეულის უტარო გადაზიდვა. მაგრამ რაიონის ყველა მეურნეობა არ არის მზად ამისათვის. საჭიროა დამატებით გამოიყოს კიდევ 20 სპეციალური ავტომობილი.

ხარისხი განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა

სხდომაზე ითქვა, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული დოვლათის ზრდისათვის და მეჭიდროდ არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებასთან. უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის ხვედრითმა წონამ პირველ კვარტალში 22,4 პროცენტი შეადგინა წლიური გეგმით გათვალისწინებული 16,8 და ვალდებულებით ნავარაუდევი 21 პროცენტის ნაცვლად.

რამდენადმე გაუმჯობესდა სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, მაგრამ ეს აშკარად არ არის საკმარისი.

როგორც თავის გამოსვლაში რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარემ გ. მირიანაშვილმა აღნიშნა, გრძელდება საექსპლოატაციოდ ობიექტების გადაცემის ისეთი მანკიერი პრაქტიკა, როცა დიდი ხარვეზები აქვს შიდა და გარე მოპირკეთებას, სანტექნიკურ სამუშაოებს. მეტად დაბალია ნაწარმისა და კონსტრუქციების მონტაჟის ხარისხი.

მან განაცხადა, რომ საქართველოს სახმშენმა შეიმუშავა საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა ვრცელი ხუთწლიანი გეგმა. საბოლოო ინსტიტუტებმა, რომლებიც ამ გეგმას ასრულებენ, უკვე შეიმუშავეს დიდპანელიანი, დიდბლოკიანი, კარკასულ-პანელიანი, აგურისა და მონოლითური სახლების პროექტები. ამ სახლებს ექნება ეკონომიკურად დაგეგმარების ინება, ცხოვრების უფრო კომფორტული პირობები და უკეთესი არქიტექტურული გაფორმება, ვიდრე ამჟამად მშენებარე სახლებს აქვთ. 1981 წლიდან დაწყებული სახლთსაშენებელი საწარმოები თანდათანობით გადავლენ ახალი პროექტებით სახლების მშენებლობაზე.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პროდუქციის ხარისხის, სტანდარტების და ტექნიკური პირობების განყოფილების უფროსი დ. შალიგინი, რომელმაც აღნიშნა, რომ უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის ბაზრობების ორგანიზაციის ამოშვების დავალებებს ვერ ასრულებენ აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ახალქალაქის, ყვარლის, სამტრედიის, მარნეულისა და ზოგიერთი სხვა რაიონი, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები.

მთავრდება მეათე ხუთწლედი — ხარისხის ხუთწლედი, მაგრამ თბილისის ქარხანა „სოფლმანქანასა“ და ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანას, სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებასა და ზოგიერთ სხვა საწარმოს არა აქვთ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი არც ერთი ნაწარმი. ასეთივე მდგომარეობაა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანიზაციებში.

ამ გარემოებამ ადგილიანი საწარმოების, სამინისტროების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც უნდა შეაშფოთოს.

ობიექტური და სუბიექტური მიზეზები

ჩამორჩენას, რომელიც შეიქმნა მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური მიზეზებიც აქვს.

როგორც რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექტორმა გ. გიგოლაძემ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ო. ლოლაშვილმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. არობელიძემ და სხვებმა აღნიშნეს, გაზის არარიტმულმა მიწოდებამ, სათბობით, ელექტროენერგიით მომარაგებაში შეფერხებებმა, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა ბევრი საწარმოს საქმიანობაზე. მაგრამ მთელ ბრალს ცუდი მუშაობისათვის მარტო ამას ვერ დავაკისრებთ.

ჯერ კიდევ ხშირად ვაწყდებით საწარმოთა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს შორის კონსერვატიზმს, ეკონომიკური ცოდნის არასაკმარისი დონის ფაქტებს. ეს განსაკუთრებით ეხება ზესტაფონის ქარხანა „საქმაგელის“ და ზოგიერთი სხვა საწარმოს ხელმძღვანელობას. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან პარტიულმა ორგანიზაციებმა.

სხდომის მონაწილენი მოითხოვდნენ გაძლიერდეს ყურადღება ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაციისა და ხელახალი ატესტაციის საკითხებისადმი, ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა მუშაკებმა უნდა აამაღლონ მომთხოვნელობა ობიექტებისადმი, რომლებსაც ისინი კურირებას უწევენ. საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც უნდა გაწიონ პროფკავშირულ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში კადრების შემდგომი დაკვალიფიკაციისათვის.

სისტემატურად და მიზანდასახულად უნდა აღმოიფხვრას ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი წარსულის მახინჯი გადმონაშთები. ჩვენ ვერ შევეგუებიდ ისეთ მოვლენებს, როგორიც არის მომხვეჭელობა, იოლ საშოვარზე სიარული, მისწრაფება — მიტი წაგლიჯო საზოგადოებას, სანაცვლოდ კი არაფერი მისცე, შრომის, ტექნოლოგიური დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები. სოციალიზმისათვის ამ უცხო მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში მთლიანად უნდა გამოვიყენოთ სიტყვით დარწმუნებაც, კანონის მკაცრი, უეცილობელი ძალაც.

სხდომაზე ყურადღება დაეთმო ელექტროენერგიის, სათბობის, ლითონის, ნედლეული რესურსების დაზოგვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებს.

— საჭიროა „კაპიტალური მშენებლობის კოდექსი, 1981 წლის გეგმიდან მოყოლებული, შემოტანილ იქნეს ცვლილებები, რომლებზეც დასაგეგმის წინა წლის 1 ივლისისათვის არის საბარჯოთაღრიცხვო დოკუმენტაცია, აგრეთვე სამუშაოთა წლიური მოცულობის სამუშაო ნახაზები, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მითითებანი, — აღნიშნა თავის გამოსვლაში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოადგილე ბ. ბალიანიძე. ამ დადგენილებებისა და მითითებების ორიენტაციას სოციალური ამოცანების დადასაწყვეტად. დაგეგმა სოციალისტური წარმოების მართვის საფუძველია.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც პირველი კვარტალის საგეგმო დავალებანი ვერ შეასრულეს, უნდა შეიმუშაონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რათა აუზრუნველყონ მეორე კვარტალის განმავლობაში დაკლებული პროდუქციის შეკავება. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ შეუნელებელ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ღონისძიებათა შესრულება, ფართოდ გამაალონ სოციალისტური შეჯიბრება ეგეგმისათვის, ხარისხისათვის, მოჭირნეობისათვის.

სხდომაზე შეიმუშავეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმის უფუფო შესრულება.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა (საქინფორმი).

გვაგზავნიან საკავშირო და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება

ლენინის ჟურნალიდან

პლანეტა აღნიშნავს ლენინის იუბილეს

სოფია. მოძმე საბჭოთა ხალხთან, მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად ბულგარელი ხალხი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს აღნიშნავს როგორც თავის დიდ და ნათელ დღესასწაულს, განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტანიშევმა. ლენინის სახელი, ხაზი გაუსვა მან, გახდა ეპოქის დროშა, რადგან მისი იდეები მძლავრ ზეგავლენას ახდენდა და ახდენს მთელი კაცობრიობის განვითარების მსვლელობაზე.

შეეხო რა პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების მნიშვნელობას, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აღნიშნა, რომ ეს პრინციპები ერთადერთი სამყოფელ ორიენტირია საერთაშორისო ცხოვრების ამბებისა და მოვლენების სწორად შეფასებისათვის, იმისათვის, რომ თითოეულმა კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა კომუნისტურმა მოძრაობამ შეიმუშაონ ეფექტიანი სტრატეგია და ტაქტიკა.

ჰავანა. მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად სოციალისტური კუბის კომუნისტები და ყველა მშრომელი ზემით აღნიშნავენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, განაცხადა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული კუბის კომუნისტური მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ფაბიო გრობარმა.

ლენინის იუბილეზე, თქვა მან საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში, დიდი დღესასწაულია მთელი ჩვენი ხალხისა, რომლისთვისაც ვ. ი. ლენინი არის არა მარტო ადამიანი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში, არამედ აგრეთვე ნამდვილი მასწავლებელი, თავისუფლებისათვის ჩვენი ბრძოლის სულისჩამდგმელი.

ადის-აბება. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის იდეებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეთიოპიისათვის, რომელიც რევოლუციური მშენებლობის გზით მიდის. განსაკუთრებული აქტუალობა ლენინის მოძღვრებას ეთიოპიელი ხალხისათვის იმიტომ ენიჭება, რომ ამჟამად იგი შეუდგა ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ჩამოყალიბებას, რომელიც მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს სახალხო რევოლუციის მონაპოვართა განვითარებასა და გაღრმავებას.

ლისაბონი. პორტუგალიის დედაქალაქის ერთ-ერთმა უდიდესმა მაყურებელთა დარბაზმა „ტეატრო ამერიტუმ“ ვერ დაიტია ყველა, ვისაც სურდა დასწრებოდა საზოგადოებრიობის საზეიმო კრებას ვ. ი. ლენინის დაბადების წლისთავის გამო. კრება მოაწყო „პორტუგალია-სსრ კავშირის“ საზოგადოებამ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან პორტუგალიის მეგობრობის საზოგადოებებთან ერთად.

ლენინის დღეების დღესასწაულობა პორტუგალიაში ფართოდ და ზეიმურად მიმდინარეობს.

ტოკიო. ტოკიოში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა „ლენინური მეგობრობის ოთახის“ გახსნას იაპონიის „ასკრის“ ფირმის შენობაში. სსრ კავშირისა და იაპონის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენელნი და იაპონია–საბჭოთა კავშირის მეგობრობის მოძრაობის აქტივისტები. ისინი გაიკვნენ ამ დარბაზში წარმოდგენილ ექსპოზიციას, რომელიც მოგვითხრობს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საზეიმო კრებაზე გამოვიდა „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილე მ. ხორიე, რომელმაც აღნიშნა, რომ „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოება, რომლის კოლექტიური წევრიც არის კომპანია „ასკრა“, წელს განახორციელებს ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა სერიას.

ფოტოინფორმაცია

ნიკარაგუის მოსახლეობის 52 პროცენტი სრულიად უწიგნურია; ამიტომაც ქვეყნის მთავრობამ 1980 წელი გამოაცხადა უწიგნურობის აღმოფხვრის წლად. ახლა ყველგან იქმნება მასწავლებელთა, სტუდენტთა, უფროსკლასელთა, მოსამსახურეთა ბრიგადები, რომლებმაც წერა-კითხვა უნდა შეასწავლონ 800 ათას კაცს. ეს კამპანია აქ იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს.

✦✦

სურათზე: მანაგუაში გამართული დემონსტრაციის მონაწილეები მხარს უჭერენ მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელების კამპანიას.

აგნ.-საკავშირო ფოტო.

ცდილობენ კემპ-დევიდის გარიგების გადარჩენას

ვაშინგტონი, 17 აპრილი. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში მოლაპარაკებას შეუდგნენ პრეზიდენტი კარტერი და აქ ჩამოსული ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბეგინი. მათი მიზანია სცადონ, როგორმე თავი დააღწიონ ჩიხს ეგვიპტე-ისრაელის სეპარატიულ მოლაპარაკებაზე პალესტინელთა ეგრეთ წოდებული „ავტონომიის“ შესახებ და „გადაარჩინონ“ ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით ერთი წლის წინათ დადებული ანტიარაბული კემპ-დევიდის გარიგება. ვაშინგტონში ბეგინის ვიზიტს წინ უძღოდა კარტერისა და ეგვიპტის პრეზიდენტის სადთის შეხვედრა.

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა უარი თქვა, გაემხილა კარტერისა და ბეგინის საუბრების შინაარსი. მაგრამ, როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, ბეგინმა, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს „ავტონომიის“ შეთანხმების მიღწევა ისრაელის პირობებით და მოსწროს მისი დადება 26 მაისამდე — წინასწარ დადგენილ ვადამდე — წამოაყენა წინადადება, რომ ეგვიპტემ და ისრაელმა დარჩენილ ვადაში „გამართონ 40 დღის განუწყვეტელი მოლაპარაკება რიგიგობით ალექსანდრიასა და ტელ-ავივში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრენის წინ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ დაადასტურა თავისი „ურყევი პოზიცია“. მან განაცხადა, რომ ისრაელი არათუ არ დაუშვებს პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, არამედ გაილაშქრებს კიდეც ყველგანი ცდილ წინააღმდეგ, რომ პალესტინელებს საკუთარი კანონების მიღების უფლება მისცენ. თუნდაც კუდმოკვეცილი „ავტონომიის“ ფარგლებში. მან გადაჭრით თქვა, უარი გადასინჯოს არაბულ - შიწა-წყალზე გასამეჯერებული დაბების შექმნის საკითხი.

რაც შეეხება ვაშინგტონს, როგორც არაერთგზის დაუდასტურებია პრეზიდენტ კარტერისაც, იგი მთლიანად და საკუთრით უჭერს მხარს ისრაელის ანტიპალესტინურ პოლიტიკას და ოკუპირებულ არაბულ მიწა-წყალზე ისრაელთა დაბების შექმნის წინააღმდეგ „პროტესტის“ ფარისევლურ სიტყვიერ გამოთქმას ვერ გასცილებია.

ამერიკა-ისრაელის უმაღლესი დონის მოლაპარაკების თაობაზე თვით ამერიკის პრესაც კი წერს, იგი უპირსაქმეტია და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის საქმეს ვერაფერს შემატებსო.

საერთაშორისო ფონდებს უძუძგურებენ

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში დიდი შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ პეკინელი ლიდერები ყოველთვიურად ცდილობენ მიაღწიონ ჩინეთისადმი ეკონომიკური დახმარების გაფართოებას მსოფლიო გაერთიანების პროგრამების მიხედვით საერთაშორისო ფონდების ხარჯზე, რაშიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დასავლეთის სახელმწიფოების მფარველობით სარგებლობენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ ორგანოებში აქტიური შეტევა ჩინეთმა ჯერ კიდევ 1978 წელს დაიწყო. 1979 წლის იანვარში მას პირველად მიეცა 15 მილიონი დოლარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამით, რომელიც მთავარი მექანიზმია ერთა მსოფლიო გაერთიანების ეკონომიკური დახმარების სისტემაში. 1980 წლის თებერვალში კი ამ პროგრამის მმართველთა საბჭოს სესიაზე მოულოდნელად დადგა საკითხი, რომ ერთიორად გაიზარდოს ასიგნებანი ჩინეთში „ტექნიკური ხასიათის პროექტების შესასრულებლად“.

საერთაშორისო ფონდების ფინანსურ რესურსებზე ჩინეთის დაინტერესებული შემოტევა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს უფროსი ეკონომიკური ძალების ურთიერთობის ქვეყნებს შორის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარება ხომ უმთავრესად ამ ჯგუფის სახელმწიფოებისათვის არის განკუთვნილი.

მადაზე მოსული პეკინის მზადრი მოთხოვნები იმიტომაც იწვევს შეშფოთებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში, რომ ჩინეთი მიღებულ დახმარებას ახმარს იმ პროგრამების შესრულებას, რომელთა გამოყენება მშვიდობიანის გარდა სხვა მიზნითაც შეუძლია.

საერთაშორისო გაერთიანების წრეებში ითვალისწინებენ იმ ფაქტორს, რომ ჩინეთის ახლანდელი მბრძანებლები მთელ თავიანთ მეცადინეობას ახმარენ ქვეყნის ეკონომიკის მილიტარიზაციას.

გვაგზავნიან საკავშირო და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები

ჰანოი აღნიშნავს ლენინის იუბილეს

ჰანოი. ვიეტნამელ ხალხთან ერთად ლენინის ბელადის ბრძოლა ეხმიანება ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და სოციალიზმისთვის, ამბობს

სახალხო დოვლათი ქვეყნის ძლიერებაა

დიდ ბელადს, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელს ვ. ი. ლენინს სოციალისტური საკუთრების დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიაჩნდა, „რომელიც დაიკავს რა წარმოების საშუალებათა საერთო საკუთრებას, ამავე დროს დაიკავს შრომის თანასწორობას და პროდუქტის გაყოფის თანასწორობას“, — წერდა იგი.

1917 წლის 26 ოქტომბერს გაკეთებულ მოხსენებაში „მიწის შესახებ“ ვ. ი. ლენინი მკაცრად მიუთითებდა, რომ „ყოველგვარი გაფუჭება ჩამორთმეული ქონებისა, რომელიც ამიერიდან მთელ ხალხს ეკუთვნის, ცხადდება მძიმე დანაშაულად, რომელსაც რევოლუციური სასამართლო სჯის“.

საზოგადოებრივი საკუთრების მტაცედ დაცვის მოთხოვნა არის გატარებული 1917 წლის 5 ნოემბერს ვ. ი. ლენინის ორ მიმართვაში მოსახლეობისადმი. ამ წერილში ბელადი მოუწოდებს მოსახლეობას, რომ თვითონვე მოჰკიდონ საქმეს ხელი, ნურავის დაელოდებიან, დაამყარონ უსასტიკესი რევოლუციური წესრიგი, დაუნდობლად ჩაახშონ ანარქიის გამოწვევის ცდა — ებრძოლონ ლოთობს, მტაცებლებს, ხულიგნებს, კონტრრევოლუციონერ იუნკრებს, კორნილოველებს და ა. შ. „აققაპიმონ და ხალხის რევოლუციურ სამართალში მისცენ ყველა, ვინც გაბედავს სახალხო დოვლათისათვის ვნების მიყენებას, რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი — წარმოების საბოტაჟი (გაფუჭება, შეფერხება, ჩაშლა) თუ ჯარისა და პროდუქტების მარაგის გადამალვა, პურის ტვირთის გაჩერება, რკინიგზის, ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის მოქმედების მოშლა და საერთოდ რაიმე წინააღმდეგობის გაწევა.

და, ბოლოს, ლენინის მიმართვა მთავრდება სიტყვებით: „ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო და ყველა მშრომელნო! აიღეთ მთელი ძალაუფლება თქვენივე საბჭოების ხელში. თვალისჩინივით გაუფრთხილდით, მოუარეთ მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, პროდუქტებს, ტრანსპორტს — ამიერიდან ყოველივე ეს სავსებით თქვენი, საერთო-სახალხო კუთვნილება იქნება“.

ვ. ი. ლენინი, ცხადად ხედავდა რა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ თვეებში საერთო-სახალხო კუთვნილების დარბევის, განადგურების, გაფუჭების, ძირის გამოთხრის, საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებისა და ბრძანებების შეუსრულებლობის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის, მტაცებლობის ფაქტებს, საჭიროდ მიიჩნევდა, გამოეაშკარავებინა და ხალხისათვის გაეცნო ბურჟუაზიის დანაშაულობანი. ამავე დროს განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყნენ მემამულეთა მამულების ლიკვიდაციის დროს კონფისკებულ ფასეულობებს. 1917 წლის 7 დეკემბერს ფ. ძერჟინსკისადმი მიწერილ ბარათში ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზია, მემამულეები და ყველა მდიდარი კლასი მთელ ძალღონეს იკრებენ, რათა ძირი გამოუთხარონ რევოლუციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუშების, მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების ინტერესები.

ბურჟუაზია უბოროტეს დანაშაულს ჩადის, როცა მოსყიდვით იბრიბს საზოგადოების ნაძირალებსა და გაბრწყნილ ელემენტებს, ერომანეთთან აკავშირებს მათ. დარბევათა მიზნით. ბურჟუაზიის მომხრეები, განსაკუთრებით მაღალ მოსამსახურეთა, ბანკის მოხელეთა რიგებიდან, და სხვები. მუშათაბის საბოტაჟს ეწევიან, აწყობენ გაფიცვებს, რათა ძირი გამოუთხარონ მთავრობის იმ ღონისძიებებს, რომლებიც სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისათვის არის მიმართული. საქმე სასურსათო მუშაობის საბოტაჟამდეც კი მიდის, რაც შიმშილით ემუქრება მილიონებს“.

ვ. ი. ლენინმა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის საყოველთაო-სახალხო საკუთრების დაცვის უდიდეს მნიშვნელობას ხაზი გაუსვა აგიტატორებთან შეხვედრის დროს. „არაგინ არ დაგეგმარებათ, ამხანაგებო, — აღნიშნავდა ბელადი, — მთელი ბურჟუაზია, მოხელეები, მესაბოტაჟენი თქვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ. რადგან იციან, რომ, თუ ხალხი ამ საყოველთაო-სახალხო საკუთრებას, რომელიც ამ დრამდე კაპიტალისტებისა და კულაკების ხელში იყო, თავიანთ შორის განაწილებს, ის გაწმენდს რუსეთს მუქთახორებისა და ღვარძლისაგან“.

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცების ურყევ იდეას ვ. ი. ლენინი ატარებს შრომაში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, სადაც ხალხს ახალი მომენტის მორიგ და მთავარ ამოცანად უსახავს კეთილსინდისიერად აწარმოოს ფულის ანგარიში, ხელმომჭირნეულ გაუძღვნენ მეურნეობას, არ იზარმაცოს, არ იქურდოს, დაიცვან უსასტიკესი დისციპლინა შრომაში.

„უანგარიშობა, უკონტროლობა პროდუქციის წარმოებისა და განაწილების საქმეში, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — წარმოადგენს სოციალიზმის ჩანასახთა დაღუპვას, ხაზინის გაქურდვას (ვინაიდან მთელი ქონება ხაზინას ეკუთვნის, ხოლო ხაზინა, ეს არის სწორედ საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელთა უმრავლესობის ხელისუფლება), რომ დაუდევრობა აღრიცხვასა და კონტროლში არის პირდაპირ ხელის შეწყობა გერმანელი და რუსი კონნილოველებისათვის, რომელთაც მშრომელთა ხელისუფლების გადაგდება მხოლოდ იმ პირობით შეუძლიათ, თუ ჩვენ ვერ დავძლევთ აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანას... ვიდრე მოწინავე მუშებს არ მოუგვარებიათ და არ გაუტარებიათ ძლიერ ამოცანა ბურჟუაზიის დანაშაულობანი. ამავე დროს განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოქცეულნენ მემამულეთა მამულების ლიკვიდაციის დროს კონფისკებულ ფასეულობებს. 1917 წლის 7 დეკემბერს ფ. ძერჟინსკისადმი მიწერილ ბარათში ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზია, მემამულეები და ყველანაირ ბოროტებას ერომანეთში ბელადის ანდერძი-სამეგრ

ლენინური იდეების ღრმად შეისწავლა, ამ იდეების გამოყენება, კულტურული, მშენებლობისა და იდეოლოგიური მუშაობის დღეგანდელი აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის ჩვენი წინსვლის აუცილებელი პირობაა. ეს აზრი ფითილ ზოლად გასდევდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციას „ლენინური მოძღვრება სოციალისტური კულტურის შესახებ და იდეოლოგიური ბრძოლა“. კონფერენციამ მუშაობა დაიწყო 16 აპრილს ბოლოლიში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში. იგი მოაწყვეს საზღვარგარეთის იდეოლოგიურ მიმდინარეობათა პრობლემების სამეცნიერო საბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ, საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნამ“.

კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მ. ბ. მიტინმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

„კონფერენციაზე გამოსულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ვ. ხარაძემ აღნიშნა მისი უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობის შემოქმედებითს ცხოვრებაში.

მოხსენება „ლენინური მოძღვრება სოციალისტური კულტურის შესახებ და თანამედროვეობა“, გააკეთა აკადემიკოსმა მ. ბ. მიტინმა. „ერთიანი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა“ — ამას შეეხო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ი. ჩხიკვიშვილი.

● ●

წლის საუკეთესო ფილმები

დუშანბე, 16 აპრილი, (საკ. დისის კორ.). დღეს ტაჯიკეთის დედაქალაქში დამთავრდა XIII საკავშირო კინოფესტივალი.

პრიზებითა და საპატიო დიპლომებით დაჯილდოდგენ იმ საუკეთესო ფილმების შემქმნელები, რომლებიც ეძღვნება ქვეყნის რევოლუციურ ისტორიას, მის გმირულ თანამედროვეობას და გამსჭვალულია კომუნისტური ზნეობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

მხატვრულ კინემატოგრაფში მოქალაქეობრივობის თემის თანამიმდევრული ხორცშესხმისათვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა სცენარისტმა და რეჟისორმა დ. ხრაბროვიცკიმ — კინოფილმის „პოემა ფრთებზე“ ავტორმა. საუკეთესო მხატვრული ფილმისათვის მთავარი პრიზები მიენიჭათ კინოსურათების — „შემოდგომის მარათონი“ („მოსფილმი“), „დაკითხვა“ (აზერბაიჯანი) და „ადრეული წვიმები“ (ყირგიზეთი და ლენინგრადი) შემქმნელებს.

პრიზი საუკეთესო რეჟისორისათვის გადაეცა კინოსურათის — „ბაბილონი — XX“ დამდგმელს უკრაინელ რეჟისორს ი. მიკოლაიჩუკს. საბჭოთა ადამიანის გმირობისადმი მიძღვნილი მკაფიო სანახაობრივი ფილმის შექმნისათვის დაჯილდოდგა კინოსურათ „ეკიპაჟის“ შემოქმედებითი კოლექტივი. კინემატოგრაფში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის ჯილდო გადაეცა მწერალსა და კინოდრამატურგს პ. ნილინს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმების შექმნისათვის ქიორის სპეციალური პრიზით დაჯილდოვეს კინოფილმები — „ლენინი: ზვიდი წელი შეიეიკარიაში“ და „კრაკოვს ახსოვს ლენინი“.

პირველი პრიზი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისათვის მიიღო ტაჯიკურმა სურათმა — „ღალატის საზღაური“, საუკეთესო მეცნიერულ-პოპულარული ფილმისათვის — ქართულმა ფილმმა „გულმა“. საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ქიორად პირველი პრიზიით აღნიშნა მ. გორკის სახელობის კინოსტუდიაში შექმნილი ფილმის — „საყვარელ ადამიანებს არ შორდებიან“. — შემოქმედებითი კოლექტივი მულტიპლიკაციურ ფილმებს შორის საუკეთესოდ ცნეს „ზღაპართა ზღაპარი“ („სოიუზმულტფილმი“).

18 აპრილიდან პოლონეთში იწყება საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები. პოლონურ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება წერილები საბჭოურ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, კერძოდ საქართველოზე.

გთავაზობთ პოლონურ ჟურნალებში გამოქვეყნებული წერილების მიმოხილვას თბილისის თეატრალურ ცხოვრებაზე.

